

ანთროპოეკოლოგიის ხალხური ტრადიციები სევში

ნინო მინდაძე
საქართველო

ადამიანის ეკოლოგია ანუ ანთროპოეკოლოგია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. ტერმინი ანთროპოეკოლოგია 1921 წელს სამეცნიერო მიმოქცევაში ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ პარკმა შემოიტანა¹. მეცნიერების ეს დარგი დღეს საკმაოდ პოპულარულია და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება². ანთროპოეკოლოგები ადამიანს ბიოფსიქოსოციალურ ფენომენად განიხილავენ და მასზე ბუნებრივი, სოციალური და კულტურული გარემოს გავლენას, ადამიანისა და გარემოს ურთიერთობებს იკვლევენ³.

ქართველი ეთნოლოგები: მ. გეგეშიძე⁴, თ. ცაგარეიშვილი⁵, ვ. შუბითიძე⁶, რ. გუჯეჯიანი⁷... ნაშრომებში ეკოლოგიის შესახებ, ადამიანის ეკოლოგიის პრობლემებსაც ეხებიან.

თ. გამყრელიძე, კულტურის ეკოლოგიის საკითხზე მსჯელობის დროს, აღნიშნავდა: „ეს უკანასკნელი (იგულისხმება კულტურის ეკოლოგია-ნ.მ.) „ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიასთან“ კომპლექსში შექმნის ერთიან ეკოლოგიურ დისციპლინას, რომელსაც შეიძლება საზოგადოდ „ადამიანისა და საზოგადოების ეკოლოგია“ ეწოდოს“⁸.

ადამიანის ეკოლოგიის ასპექტით საინტერესოა ეთნოლოგების მ.კანდელაკის, ი. სურგულაძის, ა. ქალდანის და სხვათა გამოკვლევები⁹.

¹ Park R., Burgess E. Introduction to the Science of Sociology. Chicago, 1921.

² Kartman L. Human Ecology and Public Health.
<https://ajph.aphapublications.org/doi/pdfplus/10.2105/AJPH.57.5.737>

³ Tretter F., Löffler-Stastka H. The Human Ecological Perspective and Biopsychosocial Medicine.
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6862005>

⁴ მ. გეგეშიძე. ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში. თბ., 1981.

⁵ თ. ცაგარეიშვილი. ტრადიციული კულტურა და ეკოსისტემები. თბ., 2000.

⁶ ვ. შუბითიძე. სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც ეთნიკური ეკოლოგიის საგანი. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2003, გვ. 31-38.

⁷ რ. გუჯეჯიანი. ხალხური ეკოლოგია. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2010, გვ., 520-526.

⁸ თ. გამყრელიძე. კულტურის ეკოლოგია. ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002, გვ.114; პრობლემაზე - ეკოლოგია და კულტურა იხ. თ. გამყრელიძის გამოსვლა „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის“ საერთო კრებაზე (მოსკოვი 27-29 დეკემბერი, 1988 წ. <http://science.org.ge/old/cevrebi/statiebi/E...>

⁹ ნ. მინდაძე. ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციების კვლევა საქართველოში, „მაცნე“, 2015, №2, გვ. 77-85.

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში ადამიანის ეკოლოგიის საკითხსაც ეხება¹. იგი აღნიშნავს, რომ ქართველების წარმოდგენით, „მსოფლიო ორ მთავარ ნაწილად იყო დაყოფილი ხილულ და უხილავ სოფლად [...] პირველს ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც კი „საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა“ მფლობელი იყო, მეორეს, რასაც კი „ზესთასოფლისა ძალთა ბუნებაი“ ჰქონდა. ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი ამ ორისავე „სოფლის“ „ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა“ შემაერთებელი იყო [...] მას ჰქონდა „საცნაურ და გრძნობად ბუნების“ მექონე სხეული და უხილავი „ზესთასოფლისა ძალთა ბუნებოვანი სული“ [...] ამგვარად, იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო („მიკროკოსმოს“-ი) დიდს მსოფლიოში („მაკროკოსმოს“-ში)². ეს ამონარიდი წარმოაჩენს შუა საუკუნეებში მცხოვრები ქართველის შეხედულებას ადამიანზე, როგორც ბუნებრივი, მინიერი – ხილული და ზეციური – უხილავი სამყაროს „შემაერთებელ“, ქმნილებაზე, რაც ანთროპოეკოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

არქეოლოგიურ მასალაში, ქართული ისტორიულ თუ სამედიცინო წერილობით წყაროებში, უცხოელ ავტორთა ნაწერებსა თუ ლიტერატურის ძეგლებში დაცული ცნობებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ადამიანის ეკოლოგიის ტრადიციები საქართველოში საკმაოდ ძველი, მდიდარი და მრავალფეროვანია.

საქართველოს უძველეს მოსახლეობას ჰქონდა გარკვეული ანთროპოეკოლოგიური ცოდნა და, ცხოვრების წესის ჩამოყალიბების დროს, ამ ცოდნას იყენებდა, ითვალისწინებდა ადამიანზე გარემოს ზემოქმედების ფაქტორებს.

„დასავლეთ კოლხეთის ჭაობიანობა ინვევდა სხვადასხვა დაავადებას“³. ამიტომ კოლხეთის დაბლობზე, ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში, დადასტურებულია ცხოვრების „მომთაბარული“ წესი – ზაფხულში მთაში, ზამთარში კი – ბარში სახლობა, რაც ბუნებრივი გარემოს თავისებურებით (ნესტიანი ჰავა, დაჭაობებული ნიადაგი)⁴ და, როგორც ჩანს, აქ გავრცელებული დაავადებით – მალარიით იყო განპირობებული.

ჰიპოკრატე ფაზისის აუზის მკვიდრთა, რომლებიც, თ. ყაუხჩიშვილის დასკვნით, მალარიით იყვნენ დაავადებულნი, თავისებურ ფიზიკურ აღნაგობას, ფაზისის აუზის დაჭაობებულ ნიადაგის შედეგად მიიჩნევს⁵. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა უცხოელ ავტორთა: ლამბერტის, გამბას, შარდენის და სხვათა ნაწერები⁶.

¹ ნ. მინდაძე. ივანე ჯავახიშვილი და ანთროპოეკოლოგიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილი - 140, შრომები „მარადისობის გზა“, თბ., 2017, გვ. 52-57.

² ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 122.

³ გ. გამყრელიძე. ისტორიულ-ტოპო-არქეოლოგიური ძიებანი. თბ., 1993, გვ. 40.

⁴ დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა“ ნეოლითიდან ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნამდე. ბათ., 1995, გვ. 27.

⁵ თ. ყაუხჩიშვილი. ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965.

⁶ ნ. მინდაძე. ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა. თბ., 2013, გვ. 66-67.

შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო წიგნებში ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. XIII საუკუნის „წიგნი სააქიმოს“ მიხედვით, ქვეყნის ოთხი მხარის – ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის ქარები ხელს უწყობდა სხვადასხვა სახის სნეულებას. მაგ., სამხრეთის ქარი – თავისა და თვალის ტკივილს, ეპილეფსიას, ჩრდილოეთის ქარი კი, ფილტვებისა და ხორხის დაავადებებს, სურდოს [...] ჩრდილოეთის ქალაქების, სადაც „გრილი აერია“, მკვიდრნი შედარებით ჯანმრთელნი ყოფილან, ხოლო სამხრეთის – „მხურვალი ბუნების ქალაქის კაცნი უფრო უძლოი“¹...

ზემოხსენებულ წიგნებში დაავადებებთან დაკავშირებით წელიწადის „დრონიც და თვენიც“ განიხილებოდა: გაზაფხულის ჰაერი თურმე ხელს უწყობდა ყოველგვარი სიმსივნეების, ყელის ტკივილის... გავრცელებას, ზამთარი კი სურავანდს, სახსრების ტკივილსა და სხვ.² აქედან ჩანს, რომ, ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში, შუა საუკუნეების მედიცინა დროისა და სივრცის ფაქტორზე ამახვილებდა ყურადღებას.

ანთროპოეკოლოგიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი. იგი, არც თუ იშვიათად, ადამიანის თვისებებს და ბუნებას ბიოგეოგრაფიული გარემოს ფონზე წარმოგვიდგენს, მაგალითად, აღნიშნავს, რომ კაცნი, „რომელნი მთათა შინა სცხოვრობენ, მზგავსნი ნადირთა, გარნა გონიერნი“ ყოფილან³.

ვახუშტი ბაგრატიონი ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის დახასიათებისას სოციალურ ფაქტორსაც აქცევდა ყურადღებას, რიონის ხეობის მკვიდრთა შესახებ იგი წერს: „კაცნი და ქალნი ჰგონე ვითარცა ვაკისანი, გარნა უღონო მუშაკნი, ვერ ღონიერნი. არამედ მთავარნი და აზნაურნი მხნენი, ზნეობიანი, შემმართველნი“⁴.

ანთროპოეკოლოგიის ხალხური ტრადიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის ყოფაში დასტურდება. ამ ტრადიციებს ხევში ავადმყოფის და საზოგადოების ურთიერთობის მაგალითზე განვიხილავთ.

მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ხევის აღწერისას, მოხევეების აღნაგობასა და ხასიათს ბიოგეოგრაფიული გარემოს კონტექსტში წარმოაჩენს: „ხოლო ხეობა ხევისა [...] ჰავით არს კეთილმშუენი. კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა“⁵.

¹ ლ. კოტეტივილი. „წიგნი სააქიმოდ“. მედიცინა ძველ საქართველოში. XIII ს. ტფ., 1936, გვ. 48-49.

² დავით ბაგრატიონი. „იადიგარ დაუდი“. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტივილიმა, თბ., 1985, გვ. 101-102.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 45.

⁴ იქვე, გვ. 775.

⁵ იქვე, გვ. 358-359.

ამ კუთხით საინტერესოა ალ. ყაზბეგის შემოქმედება. იგი მოხვევთა დახასიათებისას ანთროპოეკოლოგიურ მონაცემებსაც აქცევს ყურადღებას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს წერილიდან „მოხვევები და იმათი ცხოვრება“ – „როგორც საზოგადოთ მომეტებული ნაწილი მთის ხალხისა, მოხვევებიც გულკეთილი ხალხი არიან. სულ მუდამ ბუნებასთან ბრძოლამ ისინი შეაჩვია მოთმინებასა და დაუდგრომელს მუშაობას. თუმცა მოხვევე სულ მუდამ ბუნებასთან ბრძოლაშია და ყოველს ნაბიჯზედ ფათერაკი სდევს იმას, მაგრამ მაინც ისეთის თავგანწირვით უყვარს თავისი მიწა, რომ სულ მუდამ წვალებაში ყოფნას რჩეულობენ, სანამ იმის თავის დანებებას და სხვაგან გადასვლას. ყოველ მთას, ყოველ გორას, ყოველ ქვას, მდინარეს, ადგილს იმისთვის რალაც მღვთიური მნიშვნელობა აქვს და მთაში მწუხარებაში და ჯაფაში ყოფნას ის არ გასცვლის არც ერთ გვარს სიამოვნებაზედ“¹.

ვ. ითონიშვილი აღნიშნავს: „ალ. ყაზბეგის დაკვირვებით, მკაცრ კლიმატურ გარემოში ცხოვრებამ და მასთან დაკავშირებულმა პირობებმა განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა მოხვევის თვისებებისა და ხასიათის ფორმირებაზე, ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორი ჰქონდა მხედველობაში ალ.ყაზბეგს, როდესაც წერდა: „მარდი, გულადი და მოაზრებული ყოველ გაჭირვებიდამ გამოვა და თითქმის სხვისთვის აუცილებელს უბედურებას ყოველთვის აიცდენს. ათას რიგმა მოულოდნელმა შემთხვევებმა დააჩვია ის ჩქარს მოსაზრებას გაჭირებაში და იმ საშუალების სწრაფ დანახვას, რომელიც სხვას, იმ ადგილებს შეუჩვევარს კაცს, ვერც კი წარმოუდგენია, რამდენათაც თავის მთაში გამოიჩინენ ჭკუამახვილობას და სწრაფს მოაზრებას, იმდენად უღონონი არიან ვაჭრებისა და მოხელეების ხელში, სადაც ყოველი მოაზრება ამაოდ რჩება“². ეს ამონარიდიც ალ. ყაზბეგის ზემოხსენებული წერილიდან არის.

ცნობილია, რომ ადამიანის გარემოცვა, ვითარება, რომელთანაც მას იძულებით უხდება შეხება, ხშირად მასზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. ამ კუთხით საყურადღებოა ყაზბეგის შემდეგი დაკვირვება: „მოხვევე ამაყია: თავის დღეში ნებას არ მოქსცემთ, რომ დაჩაგროთ, მაგრამ აწმყო მდგომარეობამ მათარხის ძალით, დააჩვია ბევრი რამ ისეთი მოითმინოს და აღძრული წყენა გულშივე შეინახოს, რომელსაც სხვა დროს არ მოგიტმენდა. თუ ის უსამართლობას ხედავს თავის ქცევაში, მაინც უკანასკნელ საშუალებამდინ და სულის ამოხდამდი ცდილობს რითაც იქნება გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება, თუმცა იცის, რომ წინააღმდეგობა მომეტებულს სატანჯველს მიაყენებს და სამართალს ვერ იპოვნის“³. ამ შემთხვევაში ყაზბეგს პიროვნებაზე სოციუმის უარყოფითი გავლენა აქვს აღწერილი.

¹ ალ. ყაზბეგი. მოხვევები და იმათი ცხოვრება. თხზულებანი, V, თბ., 1950, გვ. 29.

² იქვე, გვ. 30.

³ ვ. ითონიშვილი. ალექსანდრე ყაზბეგი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები). თბ., 2006; ალ. ყაზბეგი. მოხვევები და იმათი ცხოვრება. გვ. 32.

მიუხედავად ჯანსაღი ბუნებრივი გარემოსი, ხევში საკმაოდ ხშირად ვრცელდებოდა სხვადასხვა დაავადება. სტეფანწმინდისა და სნოს მოსახლეობის 1732-1918 წწ. აღწერის დოკუმენტების მიხედვით, აქ ადამიანის ბუნებრივი მიზეზით, ხანდაზმულობით გარდაცვალების ფაქტები საკმაოდ მცირე იყო, გარდაცვალების მიზეზს უმეტესწილად რაიმე დაავადება, არც თუ იშვიათად, ეპიდემია – სახადი წარმოადგენდა. ბავშვებს შორის ძირითადად – ყვავილი და წითელა¹.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, სხვადასხვა დაავადებას ხევში სხვადასხვა მიზეზს უკავშირებდნენ, ხსნიდნენ როგორც ბიოგეოგრაფიული, ისე სოციოკულტურული ფაქტორებით. ბუნებრივი გარემოს ზემოქმედებით გამოწვეულ დაავადებათა შორის მთხრობლები ასახელებენ: გაციებას, ფილტვების ანთებას, ქარებს – სახსრების ტკივილს ზოგჯერ ჭლექს, ჩიყვს... ზემოაღნიშნულს ადასტურებს ზოგიერთი დაავადების ხალხური სახელწოდებაც. მაგალითად, „წყლის ყოილი, წყლის ყოვილა – წყლის ნაწყენი [...]–ჰერპესი ბაგეებზე წყლიანი ბუშტუკების გამონაყარი ნათაგვარი“².

აღნიშნულ დაავადებებს ძირითადად სხვადასხვა სამკურნალო თვისების მქონე მცენარეულით, ბუნებრივი ინგრედიენტებისგან დამზადებული მალამოებით მკურნალობდნენ. ზოგ შემთხვევაში, ბუნებრივი გარემო დაავადების გამღიზიანებლად მიაჩნდათ. მოსახლეობის დაკვირვებით, შაკიკით, „საკეკის ქარით“ დაავადებულ ადამიანს ტკივილი მომეტებული განათების დროს, „მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე“ აწუხებდა.

სოციალურკულტურულ გარემოსთან, უმეტესწილად, ფსიქიკური გადახრები, ბავშვთა ინფექციური სნეულლებანი ე.წ. ბატონები, ანგელოზები, ზოგჯერ რომელიმე მძიმე, განუკურნებელი სენიც იყო დაკავშირებული. აღნიშნულ დაავადებებათა გამომწვევი მიზეზი მოხევეების მიერ ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე იყო ახსნილი. გადმოცემით, ბავშვთა ინფექციური დაავადებანი – „ბატონები“, „ანგელოზები“ – „ღვთისგან გამოგზავნილებად“, „ღვთის ნებად“, იმავდროულად „ნათლისმცემლის ბრძანებად“ მიაჩნდათ, რადგან ხევში იოანე ნათლისმცემელი – „ხიზანთ“, ბავშვების მფარველად ითვლებოდა და „ანგელოზების მშვიდობიანად ჩავლას“ მას შესთხოვდნენ. განსხვავებით სხვა ეპიდემიებისგან, დაავადებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, ბატონები, ღვთიურ სასჯელად არ განიხილებოდა³.

¹ მასალები ხევის მოსახლეობის ისტორიისათვის. წიგნი I (სოფელი სტეფანწმინდა) (1774-1918 წწ.), გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ისტორიის დოქტორმა ნინო შიოლაშვილმა, თბ., 2016; მასალები სოფელ სნოს მოსახლეობის ისტორიისათვის (1732-1918 წწ.). გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო პროფესორმა ნინო შიოლაშვილმა, თბ., 2013.

² ნ. სუჯაშვილი, ი. ფიცხელაური. მოხევეური ლექსიკონი. თბ., 2005.

³ ნ. მინდაძე. ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა. თბ., 2013, გვ. 215-218.

შეხედულებები დაავადების გამომწვევე მიზეზებზე ხევში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე, დაავადების სიმპტომების გათვალისწინებით, ყალიბდებოდა. მთხრობელი გადმოგვცემს: „კაცი, რომ გონებაზე აირეოდა ეშმაკისგანაც იყო და ხატისგანაც. ხატისგან თუ მოხდებოდა სულ მთლიანად კი არ იყო არეული, ის დანაშაულისგან იყო და გამოსწორდებოდა. ეშმაკისგან რომ იყო ის მთლად აირეოდა, იმას არაფერი ეშველებოდა...“ წაიყვანდნენ ხატში(სალოცავში ნ.მ.)“ [მაშო ნიკლაური – გუჯარაიძე, სოფ გარბანი, ჩანერილია 1980წელს].

მოხევეთა წარმოდგენით, დაავადება, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენდა სასჯელს სალოცავის წინაშე ჩადენილი რაიმე დანაშაულის გამო (სალოცავის ტყეში ხის მოჭრა, კვირის უქმის გატეხვა-ღვთისგან დაწესებული დასვენების დღეს - კვირას მუშაობა, ზნეობრივი ნორმების დარღვევა – მაგ. ქურდობა და სხვ.). სალოცავის მიერ სწეულებით დასჯილ პიროვნებას ხევში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, დამიზეზებულს უწოდებდნენ¹.

დანაშაულის გამო მიღებულ სასჯელად განიხილებოდა აგრეთვე ეპიდემიები, მაგრამ ამ შემთხვევაში, დამნაშავედ ითვლებოდა არა ცალკეული პიროვნება, არამედ მთელი საზოგადოება.

წარმოდგენები დაავადების გამომწვევე მიზეზზე სხვადასხვა სოციუმსა და სხვადასხვა ეპოქაში, გარკვეულწილად განსაზღვრავდა საზოგადოების დამოკიდებულებას სწეულის მიმართ². ძველ საზოგადოებებში ავი სულელების ზემოქმედებით დანაშაულის გამო დაავადებით დასჯილად მიჩნეული ადამიანებისადმი საზოგადოების განწყობა უმეტესწილად, უარყოფითი იყო³, ქრისტიანულმა რელიგიამ შეცვალა ასეთი დამოკიდებულება სწეულის მიმართ და დაავადებას ადამიანის სულიერი განწმენდის ფუნქცია მიანიჭა. იგი წყალობის ქველმოქმედების ობიექტი გახადა.

ხევში, მიუხედავად დაავადების გამომწვევე მიზეზზე არსებული წარმოდგენებისა, საზოგადოების დამოკიდებულება სწეულის, ისევე როგორც უწარმეზღუდელი პირების და საერთოდ უძღური ადამიანების მიმართ დადებითი იყო.

მოხევეებში არსებული წესის თანახმად, დაუძღურებული ავადმყოფისთვის, მძიმედ დაჭრილისთვის მის ახლიბლებს უნდა მოეველოთ – „ესეთის

¹ თ. ოჩიაური. ქართველი ხალხის უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 27-38.

² ნ. მინდაძე, მკურნალი და პაციენტი ქართულ ტრადიციულ კულტურაში. ისტორიანი, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 2019, გვ. 650-662.

³ Sigerist H. The Special Position of the Sick, Culture, Disease and Healing. Studies in Medical Anthropology, London, 1977, გვ. 389-390.

ავადმყოფის ცხოთა კარს მიყენება სირცხვილია“¹ ამბობს ალ. ყაზბეგის მოთხრობის – „ელგუჯას“ ერთ-ერთი პერსონაჟი. ასეთ ავადმყოფზე ზრუნავდა არამხოლოდ ოჯახი, არამედ მთელი მისი გარემომცველი საზოგადოება. ალ ყაზბეგის იგივე მოთხრობაში ვკითხულობთ: „სვიმონის სახლში რაღაცა მოძრაობა იყო: გალავნის კარები უწყვეტივ იღებოდა და შიგ სხვადასხვა ხალხი შედიოდ-გამოდიოდა. ყველა მიმსვლელს ხელში ეჭირა ან ჭურჭელი შინაურის არყით, ან კასრი ლუდით, ან ქათმები და კვერცხები, ან ღორი და ხაზიზგინები და სხვა. ხალხი სვიმონთან მოსაკითხად მიდიოდა, რადგანაც მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო და მთის ჩვეულებით-კი ამგვარს შემთხვევაში, მოსაკითხად ძღვენმოუტანელი ვერავინ მივიდოდა.

უმეტესი ნაწილი მიმსვლელებისა იყვნენ მოხუცებულნი, ჭადარაპერ-თულნი უფროსნი, და ფრიად პატივისცემნი. შესვლის უმალ სტუმრები ავადმყოფს ანუგეშებდნენ და გარს მოსდიოდნენ; ცდილობდნენ სხვადასხვა გვარის ამბებით დასუსტებულის გამხნეებას, მჭმუნვარების გულიდგან მოშორებას. ხანდისხან რომელიმე მათგანი აიღებდა ფანდურს, ჩაპკრავდა ძალებს და წარსულის გმირების ცხოვრებას „დაძახილით“ მოუთხრობდა. დანარჩენები, ხმაგაკმენდილი მოუსმენდნენ და ავადმყოფსაც გართობა ეტყობოდა“². მოხევეები არამხოლოდ ზრუნავდნენ ავადმყოფზე, არამედ მას პატივსაც სცემდნენ. ყაზბეგის სიტყვებით, „მთაში ავადმყოფთან მტერიც კი სიფრთხილითა და მოკრძალებით შედის ხოლმე“³.

ამასთან ერთად, მოხევეებს აუცილებლად მიაჩნდათ ავადმყოფის და მისი ოჯახის დახმარება, რასაკვირველია, თუ ოჯახს ეს სჭირდებოდა. ეხმარებოდნენ, როგორც მატერიალურად, ისე ფიზიკურად, მიუტანდნენ საჭმელს, ფულს შეუგროვებდნენ, ავადმყოფს ღამეს გაუთევენდნენ და სხვ.

ეს ტრადიცია მოხევეებმა დღემდე შეინარჩუნეს, რაც ხევში, საველე მუშაობის დროს, არაერთმა მთხრობელმა დაგვიდასტურა.

ანთროპოეკოლოგიის ასპექტით მეტად საინტერესოა ეპიდემიების დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული, დაავადებულთა განცალკევების ტრადიცია. დღეს, პანდემიის გარემოცვაში მყოფ მოსახლეობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს გადმოცემა, ხევესურეთში, ანატორის აკლდამაში, შავი ჭირით დაავადებულთა თვითიზოლირების შესახებ. ასეთივე გადმოცემები დასტურდება ხევში. აქ თითქმის ყველა სოფლის მოშორებით, უმეტესწილად შემალლებულ ადგილებზე, ჩანს როგორც მინისზედა, ისე მინისქვეშა აკლდამების ნაშთები, რომლებიც შავი ჭირის ეპიდემიის დროს სწეულთა მოსათავსებლად გამოიყენებოდა. აკლდამებთან ერთად, თითქმის ყველგან არის პატარა ეკლესია

¹ ალ. ყაზბეგი. ელგუჯა. ქართული პროზა, XI, თბ., 1986, გვ. 153.

² იქვე, გვ. 153.

³ იქვე, გვ. 158.

ან სალოცავი ნიში. ადგილობრივთა გადმოცემით, „საყდარის გალავანში აკლდამები იყო და შავი ქირი ვისაც ქირდა ის იქ მიდიოდა და იქ წვებოდა, მერე კვდებოდა და ასე გაივსო აკლდამები“ [მარიამ ნიკლაური -გუჯარაიძე, სოფ.... გარბანი, ჩანერილია 1980 წელს].

ზოგან ასეთ სალოცავებს „ჟამის“, „ჟმის“ ხატი ეწოდებოდა, მაგ., სოფელ ცდომში დარიალის ხეობაში, სოფელ ცოცოლთაში, თრუსოს ხეობაში..., განცალკევებული სნეულები მიტოვებულები არ იყვნენ. სოფლის მოსახლეობა მათთვის საჭმლის მიწოდებას ახერხებდა. როგორც ჩანს, მათზე სასულიერო პირებიც ზრუნავდნენ. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს, აკლდამებთან საყდრის ან სალოცავი ნიშის, ბერების სადგომის არსებობის ფაქტი და სასულიერო პირების მიერ შავი ქირით დაავადებულებზე ზრუნვის შესახებ არსებული გადმოცემები. ერთ-ერთ ასეთ ცნობას გვანვდის პლატონ იოსელიანი: „1797 წელსა გაჩნდა ქირი თფილისისა ქალაქსა [...] მცხოვრებთა ადვილათ ჰპოვეს ბინა ტყეთა შინა, მთის ძირთა და ხეობათა ახლოს თფილისისა. დიდი იყო დროთა ამათ ტყება და ვაება დიდითა და მცირეთა, ობოლთა და ქვრივთა. მონასტერნი და უდაბნონი, რომელთა წინ უძლოდა ეფთიმი მოძღვარი მეფისა მოეშველნენ განბნეულთა პურითა და ღვინითა, საჭმელითა და საქონლითა [...] მეუდაბნოენი და მემხოლოენი [...] გამოსულნი კლდეთა ნაპრალთაგან, ვითარცა მერცხალნი ბუდეთაგან თვისთა. ექმნებოდნენ მსახურად და ნუგეშინისმცემლად ლტოლვილთა სახელთაგან თვისთა, ვითარცა ანგელოსნი მფარველნი, ეჩვენებოდნენ იგინი მათ, მოვლენილად ღვთისაგან, ლოცვა ვედრება მათი, განწმენდდა ქრისტიანეთა გონებასა და და განამხნევებდა მას, რათა უძლოს განსაცდელსა“¹.

ვფიქრობთ, რომ ხევში შავი ქირით დაავადებულთა იზოლირების ადგილებში არსებული მცირე ნაგებობანი წარმოადგენდა გარკვეულ კომპლექსს, რომელიც შედგებოდა მიწისზედა აკლდამისგან (ალბათ სნეულთა მოსათავსებლად) და აკლდამად წოდებულ ორმო სამარხისგან (გარდაცვლილთა დასაკრძალად). არქეოლოგები არ უარყოფენ, რომ „ზოგიერთი კოლექტიური სამარხის წარმოშობა შეიძლება დავუკავშიროთ ეპიდემიას ან რაიმე სოციალურ უბედურებას“². სნეულთა ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის სასულიერო პირების ზრუნვის შემხედვარე დაავადებულები აცნობიერებდნენ, რომ ისინი არც ღვთისგან იყვნენ მიტოვებულები და არც ადამიანებისგან. ეს მათ გადარჩენის იმედს უსახავდა და სასონარკვეთის გრძნობას უმსუბუქებდა. ყოველივე ეს კი მათ ალბათ სნეულებასთან ბრძოლის უნარს უძლიერებდა.

¹ ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანი-საგან, თბ., 1978, გვ. 119-120.

² ალ. კალანდაძე. სამთავრო. წინაატიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, 4, თბ., 1980, გვ. 24.

ამგვარად, მიუხედავად დაავადების მიზეზზე არსებული წარმოდგენისა, საზოგადოების დამოკიდებულება ავადმყოფის მიმართ ხევში დადებითი იყო; ავადმყოფზე საზოგადოება განსაკუთრებით ზრუნავდა, მას პატივს სცემდა კრძალვითა და მორიდებით ეპყრობოდა; ვფიქრობთ, ავადმყოფისადმი ასეთ დამოკიდებულებაზე ქრისტიანულმა რელიგიამ მოახდინა ზეგავლენა. სასულიერო პირები დაავადებათა მასობრივი გავრცელების დროს და, რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევებშიც ადგილობრივ მოსახლეობას ზნეობის საუკეთესო მაგალითს აძლევდნენ.

მოხევეთა დამოკიდებულება სნეულთა, გაჭირვებაში მყოფ პირთა და საერთოდ თანამეთემეთა, მათი საზოგადოების წევრების მიმართ ასახულია დალოცვის ერთ-ერთ ტექსტში, რომელიც ს. მაკალათიას ჩაუნერია. იგი წერს: „სიონის ხატის ტყეში, 28 აგვისტოს იმართება სამების ხატობა, რომელიც გერგეტის სამების ხატობასთანაა დაკავშირებული [...] აქვე მოდიან სიონელი ქალები სანირით და საკლავით, მაგრამ გათხოვილებს ხატის ნიშთან არ უშვებენ, მხოლოდ მცირეწლოვანი და უმანკო ქალები მოდიან დეკანოზთან დასაწყალობლებლად. ხატობას აქ ვარდობის დღეობას უწოდებენ და ამ დღეს დეკანოზი ასე დაილოცება:

დიდება ჰქონდეს შენსა ვარდის დღეობას,
გაუმარჯოს რჯულსა საქრისტიანოსას!
მიეცი მადლი და ბარაქა ჩვენს ნახნავ-ნათესსა,
გაჭირვებულს ხელი მოუმართე,
სნეული მოარჩინე და ჯანზე დააყენე!
მგზავრსა და ცხვარ-მეცხვარეს ხელი მოუმართე,
ვინმე წმინდა გულით გეხვეწებოდეს,
იმასაც დაეხმარე, შინა მშვიდობა მიეცი,
მშვიდობის მგზავრობით ატარე,
სნეულსა ულხინე, გაუმარჯვე ხარ-გუთანსა!

ცნობილია, რომ დაავადება ცვლილებებს იწვევს არამხოლოდ ადამიანის ორგანიზმში, არამედ საზოგადოებაშიც. იგი არის ერთ-ერთი მიზეზი საზოგადოების წესრიგის დარღვევისა, ავადმყოფი თავის გარემომცველ სოციუმში, ოჯახი იქნება ეს, თუ უფრო ფართო საზოგადოება, ველარ ასრულებს იმ ფუნქციას, რაც მას ჯანმრთელობის დროს ეკისრა, ვერ ასრულებს თავის სოციალურ ვალდებულებებს. არღვევს საზოგადოების ცხოვრების ჩვეულ წესს და რიტმს. მიუხედავად ამისა, ხევში, და უნდა ითქვას, რომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, დაავადებულს საზოგადოება, რომლის წევრიც ის იყო, მზრუნველობას არ აკლებდა და პატივსცემითა და კრძალვით ეპყრობოდა.

FOLK TRADITIONS OF ANTHROPOECOLOGY IN KHEVI

Nino Mindadze

Georgia

Human ecology or anthropoecology is a relatively new field of science. The term anthropoecology was coined in 1921 by the American sociologist Robert Park¹. This field of science is quite popular today and, above all, serves the protection of human health². Anthropologists consider man as a biopsychosocial phenomenon and study the influence of the natural, social and cultural environment on humans, the relationship between them and the environment³.

In works on ecology, Georgian ethnologists: M. Gegeshidze⁴, T. Tsagareishvili⁵, V. Shubitidze⁶, R. Gujejiani⁷... also touch upon the problems of human ecology

Discussing the issue of cultural ecology, T. Gamkrelidze noted: „The latter (meaning cultural ecology N. M.) will create a unified ecological discipline in the complex with“ physical-biological ecology, „which can be generally called“ human and social ecology“⁸.

From the point of view of human ecology, the studies of ethnologists M. Kandela-ki, I. Surguladze, A. Kaldani and others are interesting⁹.

Ivane Javakhishvili also addresses the issue of human ecology in his works¹⁰. He notes that, according to the Georgians, „the world was divided into two main parts, the visible and the invisible countries [...]. The first possessed everything that had a cognitive and sensual nature and the second had the nature of the supreme forces.

¹ Park R. Introduction to the Science of Sociology (with Ern. 'est Burgess). Chicago, 1921.

² Kartman L. Human Ecology and Public Health.
<https://ajph.aphapublications.org/doi/pdfplus/10.2105/AJPH.57.5.737>

³ Tretter F., Löffler-Stastka H. The Human Ecological Perspective and Biopsychosocial Medicine:
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6862005>

⁴ Gegeshidze M. Cultural-Historical and Social Problems of Ecology in Georgia. Tb., 1981 (in Georg.).

⁵ Tsagareishvili T. Traditional Culture and Ecosystems. Tb., 2000 (in Georg.).

⁶ Shubitidze F. Life Support System as a Subject of Ethnic Ecology. Caucasus Ethnological Collection, Tb., 2003, pp. 31-38 (in Georg.).

⁷ Gujejiani R. Folk Ecology. Ethnography/Ethnology of Georgia, Tb., 2010, pp. 520-526 (in Georg.).

⁸ Gamkrelidze T. Ecology of Culture. Ochkhari, Ethnological, historical and philological researches dedicated to Julieta Rukhadze, Tb., 2002, p. 114 (in Georg.); On the Problem - Ecology and Culture See Gamkrelidze's speech at the General Assembly of the USSR Academy of Sciences. M., 1988, December 27-29:

<http://science.org.ge> > old > cevrebi > statiebi > E...

⁹ Mindadze N. Study of Folk Traditions of Human Ecology in Georgia. Matsne, 2015, 2, pp. 77-85 (in Georg.).

¹⁰ Mindadze N. Ivane Javakhishvili and Issues of Anthropoecology. Ivane Javakhishvili - 140, Works, The Road to Eternity, Tb., 2017, pp. 52-57 (in Georg.).

Man, created by God, was the unifier of all of the structures of both of these two countries [...]. He had a body with a cognitive and sensual nature and the spirit of the invisible supreme forces [...]. In this way, it was like a small world – the microcosm in the big world – the macrocosm¹. This excerpt gives us an idea of the medieval Georgian view of man as a „connecting“ creature of the natural, earthly – visible and celestial – invisible world, which is important from the point of view of anthropology.

According to ethnographic data, archeological materials, information preserved in Georgian historical or medical written sources, writings of foreign authors or literary monuments, the traditions of human ecology in Georgia are quite old, rich and diverse.

The ancient population of Georgia had some anthropoecological knowledge. And they used this knowledge in the formation of their lifestyle, taking into account the factors of environmental impact on humans.

„The swampy nature of western Kolkheti caused various diseases“². Therefore, in the Kolkheti lowlands, as early as the Neolithic period, a „nomadic“ way of life is confirmed – living in the mountains in summer and lowlands in winter, which was due to the peculiarities of the natural environment (humid climate, swampy soil)³ and, apparently, malaria, the most common disease here. Hippocrates considers the peculiar physical structure of the inhabitants of the Phasis Basin (who, according to T. Kauhchishvili, suffered from malaria) to be the result of its swampy soil⁴. The writings of foreign authors: Lambert, Gamba, Sharden and others on this issue are interesting⁵.

Medieval Georgian medical books contain important information on the relationship between man and nature. According to the 13th century „Book of Saakimoi“ (lit. book of healing), the winds from the four cardinal points – north, south, east and west – contributed to the existence of various diseases. For example, the south wind causes- headache and eye pain, epilepsy, and the north wind – diseases of the lungs and larynx, deafness [...] In northern cities, with „cool atmosphere“, inhabitants were relatively healthy and in the south „residents of hot cities are weaker“⁶.

In the above-mentioned books, the „seasons and months“ of the year were also considered in connection with diseases: the spring air, it turns out, contributed to the spread of all kinds of tumors, sore throats... winter – to scurvy, joint pain, etc.⁷ This

¹ Javakhishvili Iv. Essays in Twelve Volumes. VI, Tb., 1982, p. 122 (in Georg.).

² Gamkrelidze C. Historical-Topo-Archaeological Researches. Tb., 1993, p. 40 (in Georg.).

³ Khakhutaishvili D. Kobuleti „Country“ from the Neolithic to the Formation of Early Class Cities. Batumi, 1995, p. 27 (in Georg.).

⁴ Kauhchishvili T. Hippocrates and his information about Georgia. Tb., 1965 (in Georg.).

⁵ Mindadze N. Traditional Medical Culture of the Georgian People. Tb., 2013, pp. 66-67 (in Georg.).

⁶ Tsigni Saakimoi. Tb., 1936, pp. 48-49 (in Georg.).

⁷ Bagrationi D., Yadigar Daud. Tb., 1985, pp. 101-102 (in Georg.).

shows that with regard to human health, medieval medicine paid special attention to the factors of time and space.

The work of Vakhushti Bagrationi is important from the point of view of anthropoecology. He often presents human qualities and nature in the context of the biogeographical environment, For example, he mentioned that the men, „who live in the mountains, were like beasts, but wise“¹.

Vakhushti Bagrationi also paid attention to the social factor when describing the population of this or that province. He wrote about the inhabitants of the Rioni Gorge: „Men and women are like lowlanders, but powerless workers, not strong. But princes and noblemen are courageous, moral, upright“².

Folk traditions of anthropoecology are confirmed in the life of the population of different parts of Georgia. We will discuss these traditions on the example of the relationship between the patient and the society in Khevi.

Before that, we note that Vakhushti Bagrationi, when describing the gorge, shows the appearance and character of the Mokheves in the context of the biogeographic environment: „Men are warriors, strong, mobile, beautiful, like Mtiuls, but they are the best in everything“³.

Interesting in this regard are works of Al. Kazbegi. He also pays attention to anthropoecological data in characterizing the Mokheves. To illustrate, here are some excerpts from the essay Mokheves and their life – „Like most of the highlanders in general, the Mokheves are also kind people. Always fighting against nature, they are accustomed to patience and hard work. Although Mokheve always fights with nature, and misfortune follows her at every step, but he still loves his land with such dedication that they prefer to suffer forever before giving up and leaving for another place. „Every mountain, every hill, every stone, every river, every place has some divine meaning for them, and, his being in the mountains in sorrow and hard labor, he will not exchange for any pleasure“⁴.

V. Itonishvili notes: „According to Al. Kazbegi, living in a harsh climate and related conditions had a defining effect on the formation of traits and character of the Mokheves. Al. Kazbegi had an

ethnopsychological factor in mind when he wrote:

„Fast, brave and quick-witted, he will get out of any difficulty, and he will almost always be able to avoid misfortune that others cannot avoid. Thousands of unexpected incidents taught him to be discerning in difficulties and quickly see means that a

¹ Vakhushti Batonishvili. Description of the Kingdom of Georgia. Life of Kartli, IV, text established according to all major manuscripts by S. Kauhchishvili, Tb., 1973, p. 45 (in Georg.).

² Ibid, p. 775.

³ Ibid, pp. 358-359.

⁴ Kazbegi Al. The Mokheves and Their Life. Essays. Volume Five, Tb., 1950, p. 29 (in Georg.).

person who is not accustomed to those places cannot even imagine; how smart and quick-witted he is in his mountains, so weak are they in the hands of merchants and officials, Where all their ingenuity is in vain“¹. This excerpt is also from the above essay of Al. Kazbegi.

It is well known that the human environment, the situation with which a person is forced to come into contact, often has a negative impact on him. In this regard, the following observation of Kazbegi is noteworthy: „Mokheve is proud: he will in no way allow to be oppressed, but the current situation of the „stick“ policy, taught him to endure many things and restrain irritation in his heart, which he would not have tolerated at any other time. „If he sees injustice in his behavior, he tries to express his dissatisfaction with the last resort and in every possible way, but he knows that opposition will cause more suffering and he will not find justice“². In this case, Kazbegi has described the negative impact of society on the individual.

Despite the healthy natural environment, various diseases were quite common in Khevi. According to the population census of Stepantsminda and Sno from 1732-1918, the number of deaths due to natural causes and old age was quite small here; the cause of death was most often a disease, often an epidemic. Among children, mainly smallpox and measles³.

According to ethnographic data, different diseases were associated with different causes, explained by both biogeographic and sociocultural factors. Among the diseases caused by the impact of the environment, the informants name: colds, pneumonia, rheumatism – joint pain, sometimes phthisis, goiter... This is confirmed by the popular name of some diseases. For example, ts’q’lis q’oili, ts’q’lis q’ovila, – ts’q’lis nats’q’eni [herpes] (lit. Water flower, Irritation by water), rash of watery blisters on the lips [Sin. Imer. Natagvari]⁴.

These diseases are mainly treated with herbs with different healing properties, ointments made from natural ingredients. In some cases, the natural environment was thought to irritate the disease. According to the population, a person suffering from migraines, sakekis qari suffered from pain during the day „from sunrise to sunset“.

The socio-cultural environment was, for the most part, associated with mental disorders, infectious diseases of children (batonebi, angelozebi) and sometimes some

¹ Ibid, p. 30.

² Itonishvili Val. Alexander Kazbegi. Historical-Ethnographic Data, Tb., 2006; Al. Kazbegi, Named Paper. p. 32 (in Georg.).

³ Materials for the history of the population of the gorge. I (village Stepantsminda) (1774-1918), prepared for publication, foreword and comments were added by Doctor of History Nino Shiolashvili, Tb., 2016; Materials for the history of the population of the village of Sno (1732-1918). Prepared for publication, foreword and comments were added by Professor Nino Shiolashvili, Tb., 2013 (in Georg.).

⁴ Sujashvili N., Pitskhelauri I. Mokheveri Dictionary. Tb., 2005 (in Georg.).

severe, incurable diseases. The Mokheves explained the cause of these diseases by local beliefs. It is said, that infectious diseases of children (batonebi, angelozebi) were considered to be „sent from God“, „God’s will“, and at the same time „the command of John the Baptist“, because John the Baptist was considered protector of children in Khevi and he was asked to „get over the illness peacefully“. Unlike other epidemics, due to their specifics, infectious diseases of children were not considered a divine punishment¹.

As we have already mentioned, ideas about the causes of the disease in Khevi, as well as in other parts of Georgia, were formed on the basis of local beliefs, taking into account the symptoms of the disease. The narrator tells us: „Man was driven mad by both the devil and the deity (shrine). If it came from a deity, he was not completely insane, the cause was a crime, and he was curable. If the devil did it, he was completely insane, nothing helped him... He was taken to the shrine [Masho Tsiklauri-Gujaraidze, Garbani village, recorded in 1980]

According to the Mokheves, the disease was, in most cases, a punishment for any crime committed against the deity [khati] (cutting a tree in the forest of the shrine, breaking the weekend, working on a rest day set by God (Sunday), violating moral norms – eg theft, etc.). In Khevi, as well as in other parts of the mountains of eastern Georgia, it was called damizezebuli² [(lit.caused) illness caused by the deity].

Epidemics were also considered a punishment for a crime, but in this case, guilty was the whole society and not the individual.

The ideas about the cause of the disease in different societies and in different epochs to a certain extent determined the attitude of the society towards the sick³. In ancient societies, the attitude of the people towards those who were sick due to evil spirits, who were punished by disease for the crime, was for the most part negative⁴. The Christian religion changed the attitude towards the sick and endowed the disease with the function of spiritual cleansing. He made it an object of charity.

In Khevi, despite the perceptions of the cause of the disease, public attitudes towards the sick, as well as people with disabilities, and generally powerless people, were positive.

According to the existing tradition in Khevi, relatives should take care of a debilitated patient and a severely wounded person; „It is a shame to bring such a patient

¹ Mindadze N. Traditional medical culture of the Georgian people. Tb., 2013, pp. 215-218 (in Georg.).

² Ochiauri T. From the History of the Ancient Religions of the Georgian People, Tb., 1954, pp. 27-38 (in Georg.).

³ Mindadze N. Healer and Patient in Georgian Traditional Culture, Historical, Scientific Collection, Dedicated to the 80th Anniversary of Roin Metreveli’s Birth, Tb., 2019, pp. 650-662 (in Georg.).

⁴ Sigerist H., The Special Position of the Sick, Culture, Disease and Healing. Studies in Medical Anthropology, London, 1977, pp. 389-390.

alive“¹ - says one of the characters in the story of Al. Kazbegi – „Elguja“. Such a patient was cared for not only by his family, but also by the entire community around him. In the same story of Al. Kazbegi we read: „There was some movement in Svimon’s house: the fence gates were constantly closing, different people entered and exited. All who came held in their hands either dishes with homemade vodka, or barrels of beer, or chickens and eggs, or pigs and pies, etc. People went to visit Svimon, because he was seriously ill, and according to the mountain tradition – even in this case, no one could come to visit him without a gift.

Most of the visitor’s were elderly, white-haired, and highly respected. Upon entering, the guests comforted the sick and surrounded him; they tried to encourage the weakened person with various stories, get him rid of grief from his heart. One of them took fandrur, hit its strings and singing, told about the life of the heroes of the past. The rest listened silently and the sick seemed was amused. „The Mokheves not only took care of the sick, but also respected him“². According to Kazbegi, „In the mountains, even the enemy enters the home of the sick with caution and modesty“³.

In addition, the Mokheves thought it inevitable to help the patient and his family, of course if the family needed it. Helped both financially and physically; They brought food, collected money, stayed with the patient overnight, etc. This tradition has been preserved by the Mokheves to this day, which was confirmed by many narrators during field work in Khevi last year.

From the point of view of anthropoecology, the tradition of separating patients during epidemics in the mountains of Eastern Georgia is very interesting. Today, the story of the self-isolation of black plague patients in Khevsureti, Anatori crypt, is especially popular among the population surrounded by pandemics. Similar legends are confirmed in Khevi. Remains of both above-ground and underground crypts, which were used to house the sick during the Black Death epidemic, can be seen here from almost every village, mostly in elevated areas. Along with the tombs, there is a small church or shrine niche almost everywhere. According to the locals, „there were coffins in the fence of the cathedral and those who had a black plague would go there and die and so the coffins were filled“ [Mariam Tsiklauri-Gujaraidze, village... Garbani, recorded in 1980]. In some places such shrines were called the shrine of Zhami (lit. plague), for example, in the village of Tsdo in the Dariali gorge, in the village of Tsotsolta in the Truso gorge.

Individual patients were not abandoned. The villagers managed to feed them. It seems that the clergy were taking care of them. The right to express this assumption is given by the fact of the existence of a shrine or niche near the tombs, the dwelling

¹ Kazbegi Al. Elguja. Georgian Prose, XI, Tb., 1986, p. 153 (in Georg.).

² Ibid, p. 153.

³ Ibid, p. 158.

of monks and the existing reports on the care of plague patients by the clergy. Platon Ioseliani writes: „In 1797 a plague broke out in the city of Tbilisi [...] Residents easily found refuge in the woods, near the foot of the mountains and in the valleys near Tbilissi. Great was the weeping and sobbing of adults and children, orphans and widows at that time. The monasteries, preceded by court priest Eftim, helped the scattered with bread and wine, food and cattle [...] Hermits [...] coming out of the crevices of the rocks, as swallows from their nests, served and comforted refugees like guardian angels, they seemed to them to be sent by God, their prayers purified the minds of Christians and encouraged them to endure trials“¹.

We think that in Khevi, the small buildings in the black plague isolation areas were a kind of complex consisting of an overground crypt for the placement of the sick a pit tomb called Akldama. To bury the dead, archaeologists do not deny that „the origin of some of the collective tombs may be linked to an epidemic or some social calamity“², This points to the fact of the care of the clergy for the physical and spiritual salvation of the sick. The sick realized that they were neither forsaken by God nor by men. It gave them hope of survival and alleviated their sense of despair. All of this likely strengthened their ability to fight disease.

Thus, despite the notion of the cause of the disease, the attitude of the society towards the sick was positive in Khevi, the sick were especially cared for by the society, they were respected and treated with restraint; we think such attitude towards the sick was influenced by the Christian religion. Even with the fact that the clergy gave the best example of morality to the locals during the mass spread of diseases and, of course, in other cases as well.

The attitude of the Mokheves to the sick, the needy and their compatriots in general, members of their community is reflected in one of the texts of the blessing, which was recorded by S. Makalatia. He writes: „In the forest of the Sioni church, on August 28, a celebration of Trinity is held, which is associated with the church of the Trinity of Gergeti [...] Here come women from the village of Sioni with sacrifices and sacrificial animals, but the married are not allowed near the church niche, only small and innocent women come for blessing to the decanoz. The celebration is called the Rose Day and on this day the decanoz will be blessed:

Glory be to thee, the Rose Day!
Long live the faith of Christianity!
Give grace and blessing to our crops,
lend a hand to the needy,

¹ Life of George the Thirteenth, described by Plato Ioseliani, son of Egnate. Tb., 1978, pp. 119-120 (in Georg.).

² Kalandadze Al. Samtavro. Pre-Attic Archaeological Sites, Mtskheta, vol. 4, Tb., 1980, p. 24 (in Georg.).

Save the sick and give health!
lend a hand to the traveler and to the flock,
If anyone asks you with a pure heart,
Help him, give him inner peace,
give him a happy journey,
Heal the sick, let them Succeed in plowing!

It is known that the disease causes changes not only in the human body, but also in society. It is one of the reasons for the disturbance of order in society, The sick in their surrounding society, be it the family or the wider society, can no longer perform the functions that they had, being healthy, they can no longer fulfill their social obligations, they disrupt the usual way of life and the rhythm of society. Nevertheless, in Khevi, and it must be said that also in other parts of Georgia, the society of which they were a member, did not neglect them and treated them with respect and prohibition.